ხელმძღვანელი : ასოცირებული პროფესორი დავით ქათამაძე

1.1. **კვლევითი პროექტის დასახელება:** საქართველოს საზღვაო სატრანსპორტო სექტორის საინვესტიციო მიმზიდველობა შავი ზღვის რეგიონის განვითარებად საზღვაო ეკონომიკებში

1.2. **კვლევის სიახლე და აქტუალურობა:**

კვლევის სიახლეს წარმოადგენს ის, რომ თანამედროვე ეტაპზე, ღია ეკონომიკის პირობებში, წარმოებული პროდუქციის ტრანსპორტირების ახალი ლოგისტიკური არხების (მაგალითად, „შუა დერეფნის“ აღმოცენება დამატებით შესაძლებლობებს და გამოწვევებს უქმნის საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკურ კომპანიებს, პროდუქციის გადაზიდვისა და დასაწყობების სფეროში. აღნიშნული გამოწვევების აღმოფხვრის მიზნით საქართველოს მთავრობამ უნდა ჩამოაყალიბოს ლოგისტიკური კომპანიების ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის ერთიანი მექანიზმი, რაც ქართულ ლოგისტიკურ კომპანიებს შეუქმნის ბიზნესის მდგრადი განვითარებისა და საექსპორტო პოტენციალის მაქსიმალურად ამოქმედების შესაძლებლობებს.

პროექტის კვლევის სიახლეს ასევე წარმოადგენს ისიც, რომ სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპანიების საქმიანობის მენეჯმენტის სრულყოფა შეამცირებს გადაზიდვის დანახარჯებს და შესაბამისად, პროდუქციის თვითღირებულებას, გაზრდის საქართველოს მოსახლეობის პროდუქციით უზრუნველყოფისა და სოციალური კეთილდღეობის დონეს.

კვლევის აქტუალურობა: თანამედროვე სატრანსპორტო-ლოგისტიკური ბიზნესის გლობალიზაციისა და რეგიონალიზების ტენდენციამ, ბიზნესის ადმინისტრირების გარემოს სწრაფმა ცვლილებამ რევოლუციური ცვლილებები შეიტანა ქართული ლოგისტიკური კომპანიების ბიზნესის განვითარებაში, რომელთაც საშუალება მიეცათ უცხოეთიდან დამატებითი რესურსები მოიზიდონ და ამით გაზარდონ სატრანსპორტო პოტენციალი. სამწუხაროდ, საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპანიების მენეჯმენტი არ პასუხობს გადაზიდვის თანამედროვე მოთხოვნას.

ლოგისტიკური კომპანიების ბიზნესში არსებული შესაძლებლობის გამოვლენა და რაციონალური გამოყენება ამ პრობლემების მოგვარების საშუალებას იძლევა. კვლევის აქტუალურობა იმითაა განპირობებული, რომ ღია ეკონომიკა სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპანიების კონკურენტუნარიანობის ზრდის აუცილებელი პირობაა, რომელიც უზრუნველყოფს ბიზნეს-პროცესებში მიმდინარე ცვლილებებზე სწრაფ რეაგირებას. აქედან გამომდინარე, არსებობს ობიექტური აუცილებლობა, რათა საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ბიზნეს-გარემოს უწყვეტი გაუმჯობესება. კვლევის აქტუალურობა საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპანიების წინაშე, რუსეთ-უკრაინას შორის საომარი მოქმედებების ფონზე, წარმოქმნილმა ახალმა გამოწვევებმა განაპირობა.

„შუა დერეფნის“ ამოქმედების პერსპექტივა გახდა საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპანიების მენეჯმენტში ცვლილების შეტანის განმაპირობებელი ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი. კვლევის ძირითად პრობლემად საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპანიების ბიზნესის მენეჯმენტის არაეფექტურობა მიგვაჩნია.

საქართველოს მთავრობის ძალისხმევისა და დახმარების მიუხედავად, ქართული სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპანიები კონკურენციას ვერ უწევს უცხოურ ლოგისტიკურ კომპანიებს, რომლებიც პროდუქციის მასშტაბურ გადაზიდვებს ახორციელებენ, მიუხედავად იმისა, რომ ხორციელდება ქართული სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპანიების ბიზნესის მხარდამჭერი პროგრამები. ხდება ამ კომპანიების მენეჯმენტის მიერ ბიზნესის დაგეგმარება, თანამშრომელთა მოტივაცია, მაგრამ სათანადოდ არ ხდება მათი საქმიანობის მონიტორინგი, რაც ტრანსკავკასიურ დერეფანში შემავალი ლოგისტიკური კომპანიების ბიზნეს-პროცესებს აფერხებს.

საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპანიების ძირითადი ნაწილი ტრანზიტზეა ორიენტირებული, რაც იმის შედეგია, რომ ადგილობრივი მოსახლეობის დაბალი მყიდველუნარიანობის გამო, იმპორტირებული საქონლის უდიდესი ნაწილი შემდგომი რეალიზებისათვის გადის საზღვარგარეთ. შიდა ბაზარზე მათ მიერ წარმოებული შედარებით ხარისხიანი, მაგრამ ძვირი პროდუქცია კონკურენციას ვერ უწევს შედარებით უხარისხო, მაგრამ იაფ იმპორტულ საქონელს, შედეგად, საქართველოში დამზადებული პროდუქციის მფლობელები იძულებულნი არიან, უცხოეთში ეძებონ პროდუქციის რეალიზების გზები. დღესდღეობით საქართველოს მოსახლეობა უფრო იმპორტირებულ პროდუქტებს მოიხმარს, ვიდრე ადგილობრივს. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია იმის გაგება, თუ რამდენად ექცევა ყურადღება საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპანიების ბიზნესის მენეჯმენტს? საქართველოს ბიზნეს სექტორში პროდუქციის წარმოებისა და ექსპორტის განვითარებით, პრობლემების გადაწყვეტა მხოლოდ სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპანიების საქმიანობისათვის ხელსაყრელი ბიზნეს-გარემოს შექმნითაა შესაძლებელი, რაც ხელს შეუწყობს მათი კონკურენტუნარიანობის ზრდას, საქართველოში დამზადებული პროდუქციის საზღვარგარეთ რეალიზების პოტენციალის ეფექტურ გამოყენებას. მიგვაჩნია, რომ საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპანიების საქმიანობაში ბიზნესის სწორ მენეჯმენტს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ტრანზიტის ახალი მიმართულებები საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკურ კომპანიებს უბიძგებს ახალი გადაწყვეტილებების მიღებისკენ. რუსეთსა და უკრაინას შორის საომარი მოქმედებების გამო, შავი ზღვის რეგიონში მოქმედ სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპანიების მენეჯმენტს უბიძგა თავიანთ ლოგისტიკურ სტრატეგიაში პროდუქციის წარმოების, ტრანსპორტირების, დასაწყობებისა და რეალიზების ღირებულებათა ჯაჭვის რადიკალური გადახედვისაკენ.

1.3. **კვლევის მიზნები, ამოცანები და კვლევის მეთოდოლოგია:**

კვლევის მიზანი. კვლევის მიზანია კომპანიების ლოგისტიკური სტრატეგიების ანალიზის საფუძველზე, პროდუქციის ტრანსპორტირებისა და დასაწყობების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა, შეფასება და ლოგისტიკური პროცესების რეალიზების ახალ წინადადებათა ჩამოყალიბება/შეთავაზება, რომელმაც მასტიმულირებელი გავლენა უნდა მოახდინოს საქართველოს სატრანსპორტო კომპანიების ლოგისტიკური სტრატეგიების სრულყოფაში, მათ მიერ საქონლის წარმოების, ტრანსპორტირების, დასაწყობების და რეალიზების

დანახარჯების ღირებულებათა ჯაჭვის რაციონალიზაციის და მომხმარებელთა სწრაფად ცვალებადი მოთხოვნის უკეთესად დაკმაყოფილების მიზნით.

კვლევის ამოცანები. დასახული მიზნის მისაღწევად კვლევის პროცესში განისაზღვრა შემდეგი სახის ამოცანები:

- საქართველოს სატრანსპორტო კომპანიების მენეჯმენტზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენა, მათი სატრანზიტო პოტენციალის განსაზღვრა;
- საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპანიების მენეჯმენტში არსებული გამოწვევების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების ანალიზი;
- საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპანიების სატრანზიტო პოტენციალის ამაღლებისა და ლოგისტიკური საქმიანობის სრულყოფის რეკომენდაციების შემუშავება;
- საქართველოს სატრანსპორტო კომპანიების ლოგისტიკური ბიზნეს-საქმიანობის გაციფრულების რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძველი იქნება სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპანიების საქმიანობის სფეროში ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მიერ დამუშავებული შრომები, მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები. კერძოდ, კვლევის მეთოდოლოგიის შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა დასახული მიზნები და ამოცანები. შესაბამისად კვლევის პროცესში გამოყენებული იქნება მრავალმხრივი მიდგომები. კერძოდ, ეს მეთოდებია:

1. **თეორიული კვლევის მეთოდი,** რომელიც გამოყენებულ იქნება ლოგისტიკური სტრატეგიების თეორიული საფუძვლების შესწავლისთვის (თავი 1), რაც მოიცავს ლიტერატურის მიმოხილვას და კონცეპტუალურ ანალიზს.
2. **რაოდენობრივი კვლევის მეთოდები,** რომელიც გამოყენებულ იქნება საქართველოს სატრანსპორტო კომპანიების ლოგისტიკური სტრატეგიების სრულყოფის შესაძლებლობის შესასწავლად (თავები 2 და 3), რაც ითვალისწინებს სტატისტიკურ ანალიზს.
3. **ხარისხობრივი კვლევის მეთოდები,** რომელიც გამოყენებულ იქნება საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპანიების ბიზნეს გარემოს შეფასებისთვის (თავი 3), ითვალისწინებს კითხვარზე დაფუძნებულ კვლევას.
4. **შედარებითი ანალიზი,** რომელიც გამოყენებულ იქნება უცხოურ ლოგისტიკურ კომპანიებთან საქართველოს სატრანსპორტო კომპანიების კონკურენტუნარიანობის შესადარებლად (თავი 3.1) და მოიცავს შედარებითი კვლევის მეთოდს.
5. **SWOT ანალიზი,** რომელიც გამოყენებულ იქნება საქართველოს სატრანსპორტო კომპანიების ლოგისტიკური საქმიანობის ძლიერი და სუსტი მხარეების, ასევე შესაძლებლობის და საფრთხეების იდენტიფიცირებისათვის (თავი 3).
6. **პროგნოზირების და რეკომენდაციების მეთოდები,** რომლებიც გამოყენებულ იქნება საქართველოს სატრანსპორტო კომპანიების ლოგისტიკური სტრატეგიების განვითარების პერსპექტივის შესაფასებლად (თავი 3) და ითვალისწინებს სცენარულ ანალიზსა და რეკომენდაციების შემუშავებას.

კვლევის ჰიპოთეზა. *კვლევის მთავარ ჰიპოთეზად მივიჩნევთ* კვლევის ინტეგრირებულ მეთოდს, რომელიც ითვალისწინებს თეორიულ ანალიზის, რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევის, შედარებითი ანალიზის და პროგნოზირების მეთოდებს. კვლევის აღნიშნული მეთოდები საშუალებას მოგვცემს საფუძვლიანად შევაფასოთ საქართველოს ლოგისტიკური კომპანიების სატრანზიტო პოტენციალის გამოვლენის შესაძლებლობები, მათი როლი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის

გაუმჯობესებაში, გამოვავლინოთ საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპანიების როგორც ძლიერი და სუსტი მხარეები, ისე შესაძლებლობები და საფრთხეები, შევამუშავოთ შესაბამისი რეკომენდაციები ამ კომპანიების ლოგისტიკური სტრატეგიის შემდგომი სრულყოფის მიზნით.

ნაშრომის დამუშავების პროცესში გამოყენებულ იქნება კვლევის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი მეთოდები, რადგან კვლევა ჩატარდება ორ ეტაპად. კერძოდ, პირველ ეტაპზე, მასალების მოპოვების მიზნით, ჩატარდება რაოდენობრივი კვლევა, ხოლო მოპოვებული მონაცემების უფრო დეტალურად წარმოჩენისა და გაანალიზების მიზნით, მეორე ეტაპზე გამოყენებული იქნება კვლევის თვისობრივი მეთოდი. კვლევის პროცესში გამოყენებული იქნება ასევე სტატისტიკური კვლევის ისეთი მეთოდები, როგორიცაა მონაცემთა თავმოყრის, დაჯგუფებისა და ანალიზის მეთოდები.

დასახული მიზნიდან გამომდინარე, განისაზღვრა საკვლევი სივრცე, საიდანაც მოხდება კვლევის ობიექტების შერჩევა, კვლევის ფარგლებში დამუშავდება კითხვარი. შემდგომ ეტაპზე, გამოკითხვისა და ჩაღრმავებული ინტერვიუს ფორმით, ჩატარდება კვლევა. კვლევის ფარგლებში გამოიკითხება საქართველოს სატრანსპორტო-ლოგისტიკური კომპანიების წარმომადგენლები. შემდეგ მოხდება კვლევის შედეგად მიღებული მასალების თავმოყრა და დაჯგუფება. კვლევის ბოლო ეტაპზე მოხდება კვლევის შედეგების ანალიზი, რაც მოგვცემს საქართველოს სატრანსპორტო კომპანიების ლოგისტიკური სტრატეგიის რეალიზების სფეროში არსებული გამოწვევებისა და მათზე მოქმედი ფაქტორების გამოვლენის შესაძლებლობას. გაკეთდება შესაბამისი რეკომენდაციები საქართველოს სატრანსპორტო კომპანიების ლოგისტიკური საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების კუთხით.